ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

„კუზბასი“ (კემეროვო) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:1

I ლიგა

17 ოქტომბერს შედგა გათამაშების მორიგი, 35-ე ტურის კალენდარული მატჩები.

ქუთაისის „ტორპედო“ კემეროვოში შეხვდა ადგილობრივ „კუზბასს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ახლა ტორპედოელები 21 ოქტომბერს ეთამაშებიან სვერდლოვსკში „ურალმაშს“.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 0:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 0:0, „დინამო“ (მინსკი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 2:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ალგა“ (ფრუნზე) 4:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „პამირი“ (დუშანბე) 3:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) — 3:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 0:1, „რუბინი“ (ყაზანი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:0.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 208 (5498)

1975 წ. 19 ოქტომბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კრ. სოვეტ.“	35	20	8	7	71—33	48
„დინამო“	34	19	8	7	47—27	46
„ტორპედო“	35	16	13	6	49—28	45
„ქაირათი“	35	19	6	10	52—32	44
„ნეფთჩი“	35	16	10	9	54—33	42
„ტავრია“	35	17	8	10	56—38	42
„ნისტრუ“	35	16	9	10	40—38	41
„შინიკი“	35	12	12	11	46—40	36
„სპარ.“ ორ.	35	14	7	14	36—37	35
„სპარ.“ ი.-ფ.	35	13	7	15	45—41	33
„მეტალურ.“	35	11	11	13	44—41	33
„პამირი“	34	11	11	12	41—46	33
„რუბინი“	35	10	12	13	33—50	32
„კუზბასი“	35	12	7	16	34—45	31
„სპარ.“ ნ.	35	9	12	14	26—38	30
„ყუბანი“	35	10	9	16	32—43	29
„მეტალის.“	35	9	11	15	27—43	29
„ზვეზდა“	35	10	8	17	29—42	28
„ურალმაში“	35	12	4	19	39—53	28
„ალგა“	35	4	5	26	27—80	13

ეძღვნება სკკპ XXV ყრილობას

საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადა

განთიადელთა დიდი უპირატესობით

ტანვარჯიშში მოასპარეზე გუნდებს მხოლოდ სპორტის ოსტატები და სპორტის ოსტატობის კანდიდატები გამოჰყავდათ. თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „განთიადის“ დარბაზში ხუთი საზოგადოების წარმომადგენლები შეგროვდნენ. მონაწილენი მხოლოდ „ვოდნიკსა“ და „კოლმეურნეს“ არ ჰყავდათ. თავისი წევრების მცირე ასაკის გამო „შრომითი რეზერვების“ გუნდი უკონკურსოდ გამოდიოდა.

მეტს ველოდით „ბურევესტნიკისგან“. სტუდენტთა საზოგადოება აშკარად შეცდა, როცა სპორტული ტანვარჯიშის ჯგუფები გააუქმა. მაშინდელი ხელმძღვანელობის აზრი — სულ ერთია ყველა სპორტსაზოგადოება ჩვენთვის მუშაობსო (მხედველობაში ჰქონდათ ის, რომ ტანვარჯიში მოზარდთა საქმეა, მოზარდები კი შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში მიემურებიან), მცდარი გამოდგა, მზამზარეულ მაღალთანრიგოსნებს „ბურევესტნიკს“ იოლად ვინ დაუთმობს?

სწორედ ესეც იყო მიზეზი, რომ „ბურევესტნიკის“ ნაკრებს „განთიადმაც“ აჯობა და „ლოკომოტივმაც“ გაუსწრო. „განთიადის“ ტანმოვარჯიშეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სპორტის ოსტატის პროგრამით შეჯიბრებაში მათ ბადალი არ ჰყავდათ. სულ საავიაციო ქარხნის სპორტსკოლის აღსაზრდელებმა შვიდი საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

„განთიადის“ ქალთა გუნდის ლიდერი ნ. დრონოვა, რომელიც სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში „მსოფლიო თასისთვის“ საბრძოლველადაა წასული, ცხადია, შინ არ ასპარეზობდა, მაგრამ მის თანაკლუბელებს თავი არ შეურცხვენიათ, 230,164 ქულა მოაგროვეს და პირველობა დიდი უპირატესობით მოიგეს.

პირად ტურნირში ოსტატის პროგრამით გამარჯვებისთვის დავა განთიადელებს — ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს, სპორტის ოსტატ ს. დუდასა და 124-ე სკოლის მერვეკლასელს, ოსტატობის კანდიდატ ვ. ფხაკაძეს ჰქონდათ. ფხაკაძემ მეტოქეს თავისუფალ ვარჯიშში და ძელზე აჯობა — ნებისმიერი პროგრამით ორივეჯერ 9,35 ქულა დაიმსახურა. მაგრამ საერთო ჯამში დუდა უფრო სტაბილური აღმოჩნდა და ჩემპიონობაც მოიხვეჭა — 72,65. ფხაკაძე 0,05 ქულით ჩამორჩა. იგი იმ დღის მაინც კმაყოფილი იყო — სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

III ადგილზეც განთიადელი ტანმოვარჯიშე, თბილისის 82-ე სკოლის მეშვიდეკლასელი ო. ვისოტინა გავიდა (70,25), მაგრამ იგი მცირე ასაკის გამო უკონკურსოდ გამოდიოდა. ამიტომ III ადგილი ლ. გაზარაევას („სპარტაკი“) ხვდა — 68,2.

სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით ტყუპი დები თ. და ი. წიქარაძეები „შრომითი რეზერვების“ გუნდის ღირსებას იცავდნენ. ყველაზე კარგი შედეგებიც მათ აჩვენეს: თინათინმა 70,45 ქულა მოაგროვა, ირინემ — 68,45. მათმა თანაგუნდელმა მ. რევიშვილმა 67,7 ქულა მიიღო, მაგრამ ამ შეჯიბრებას არც მათი ასაკი მიესადაგებოდა, ამიტომ გუნდებს ვერაფერი არგეს. კოლექტივს ქულები მისცეს მხოლოდ რკინიგზელებმა ხ. ჩოგოვაძემ (65,3) და ო. დარჩიამ (64,6).

ვაჟთა ტურნირის სამივე პრიზიორმა სპორტის ოსტატის ნორმას გადააჭარბა. ე. ჯაიანმა („ლოკომოტივი“), რომელმაც 109,0 ქულა მოაგროვა და ა. ცინცაძემ („განთიადი“ — 108,05) ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულეს, უნივერსიტეტის სტუდენტმა კ. ლაშხმა („განთიადი“) კი, რომელმაც ცინცაძეს 0,05 ქულით აჯობა და II ადგილი დაიკავა — მეორედ.

ცალკეულ იარაღებზე ასპარეზობისას ჯაიანმა რგოლებზე (18,45) და ძელზე (18,5) ვარჯიში მოიგო, ლაშხი უძლიერესი იყო ხტომასა (18,6) და ორძელზე (18,15), ცინცაძეს კი ბადალი არ ჰყავდა თავისუფალ ვარჯიშში (18,5) და ტაიჭზე (18,0).

ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით ტურნირში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: რ. სუქიასიანი — 105,95, ვ. სალუქვაძე (ორივე — „განთიადი“) — 96,65, მ. კაკაბაძე („ბურევესტნიკი“) — 94,85, თუმცა ამ ორ უკანასკნელზე გაცილებით მაღალი შედეგები მოიპოვეს ფ. ბოკერიამ — 102,0, ჯ. ალთუნაშვილმა (ორივე — „შრომითი რეზერვები“) — 100,8.

გუნდურ პირველობაში „განთიადის“ უპირატესობა ვაჟთა შეჯიბრებაშიც აშკარა იყო (333,252 ქულა). II ადგილზე გასულ რკინიგზელებს 235,944 ქულა აღმოაჩნდათ, სტუდენტებს — 261,75.

საერთო გუნდურ ჩათვლაში, რა თქმა უნდა, „განთიადმა“ იმარჯვა — 563,416 ქულა. II ადგილზეა „ლოკომოტივი“ — 490,521, III — „ბურევესტნიკი“ — 462,397.

ო. ქორქაშვილი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: „სპარტაკის“ აბსოლუტური ჩემპიონი ხ. დუდა თავისუფალი ვარჯიშის დროს.

ო. გელაშვილის ფოტო.

გმირი კოსმონავტის ხსოვნისადმი...

ყარაგანდა, 16 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავ-კოსმონავტის პ. ბელიაევის ხსოვნისადმი მიძღვნილმა მეორე საკავშირო ახალგაზრდულმა ტურნირმა ჭაგიდის ჩოგბურთში მოსკოვის, ალმა-ათის, აშხაბადის, დუშანბეს, რიგის, სვერდლოვსკის, კუიბიშევის, ულან-უდეს, ნალჩიკის, მაგნიტოგორსკის, კურგანის, ომსკის, აბაკანის, ცელინოგრადის, სემიპალატინსკისა და სხვა ქალაქების 46 გუნდს მოუყარა თავი.

გაიმარჯვეს მოსკოვის ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებმა. ვერცხლის მედლები მოიპოვეს აბაკანის გოგონათა და ყარაგანდის ჭაბუკთა კოლექტივებმა. ბრინჯაო ნალჩიკის გოგონათა და კუიბიშევის ჭაბუკთა გუნდებს ერგოთ.

დასავლეთ გერმანიის ქალაქ კრეფელდის საქსოვ ფაბრიკაში მზადდება სახურავი მონრეალის ოლიმპიური სტადიონისთვის. ქსოვილის სახურავის საერთო ფართობი 20 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს, ხოლო მისი წონა 200 ტონა იქნება. სახურავისთვის განკუთვნილი ქსოვილი სპეციალური წყალგაუმტარი გარსით დაიფარება.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ოლიმპიური სტადიონის სახურავის მასალის ნიმუში, რომელზეც აღნიშნულია ამ უზარმაზარი „ქოლგის“ გეგმა.

დპა — საკდესის ფოტო.

„სამკუთხედი“ ატლანტის ოკეანეში

პარიზი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანგული საოკეანო იახტა „33 ექსპორტი“ პირველი ხომალდია, რომელიც მხოლოდ მზის ბატარეების ენერგიით კვებავს თავის ელექტროაღჭურვილობას. ამგვარი ხომალდის შექმნას ეცადნენ ავსტრალიაშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, მაგრამ მაშინ ის ნავები „სათამაშოები“ იყო — მხოლოდ ერთი დღით თუ გადიოდნენ ზღვაში... ძმები მილეების იახტაზე ერთდროულად მზის ენერგიის ათი „მიმღებია“ განლაგებული.

— ასეთი დანადგარი საშუალებას გვაძლევს თითქმის 500 კილოგრამით შევამსუბუქოთ ჩვენი ხომალდი, — თქვა ჟან-პიერ მილემ. — და, რაც მთავარია, ეს იმის ხარჯზე ხდება, რომ საწვავის თრევა არ გვიხდება.

ზღვაში გასვლამდე — ატლანტის ოკეანეში „სამკუთხედი“ რბოლის სტარტამდე ძმებს კიდევ მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა მოუწევთ. შეჯიბრება სამ ეტაპად ტარდება: თავდაპირველად სენ-მალოდან (საფრანგეთი) კეიპტაუნამდე, მერე — კეიპტაუნიდან რიო-დე-ჟანეირომდე, საბოლოოდ კი — მესამე მონაკვეთია: რიო-დე-ჟანეირო — პორტსმუტი.

აფროსანთა გამოთვლით, მარტო პირველი მონაკვეთის დაფარვას მათ ოკეანეში 7 კვირა უნდა მოანდომონ, მთელი დისტანციის სიგრძე კი 15 ათასი საზღვაო მილია.

მეცნიერება — სპორტს

თუ მთა არ მიდის მუჰამედთან...

საზოგადოებრივი აზროვნების ვერც ერთ დარგს ვერ დაასახელებთ, სისხლხორცეულად სპორტთან რომ არ იყოს დაკავშირებული. უკვე ეს ფაქტი მოწმობს, რაოდენ დიდია სპორტის ზეგავლენა ადამიანის პიროვნულ ფორმირებასა და სრულყოფაზე. როცა სპორტისა და სხვა დარგების ურთიერთდამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით მეცნიერებასაც. ეს კი არა, თუ კი რომელიმე დარგი ახლოს დგას სპორტთან, ეს პირველ ყოვლისა მეცნიერების საფუძველზე ითქმის. ეს აზრი უწინაც ფეხმოკიდებული იყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ჩვენში მეტწილად უფრო თეორიის სფეროს განეკუთვნებოდა.

სპორტის არნახული განვითარების ეპოქაში უმაღლესი შედეგების მისაღწევად ინტენსიურად დაიწყო ძიება ახალ-ახალი რეზერვების — გამოუყენებელი, ანდა ნაკლებად გამოყენებული რეზერვებისა. ისე ეახლა სპორტი მეცნიერებას, როგორც მუჰამედი მივიდა მთასთან.

დღესდღეობით თავისი თავის პატივისმცემელი გუნდი, სპორტსმენი, მწვრთნელი, სპეციალისტი ფიქრსაც არ დაიწყებს მაღალი ზღუდეების დაპყრობაზე, თუკი მეცნიერებასთან კონტაქტი არ დაამყარა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათლეტთა განსაცვიფრებელი მიღწევები მნიშვნელოვანწილად სწორედ სწავლულებთან მეგობრობით აიხსნება. ერთი სიტყვით, ვინც ეს ჭეშმარიტება მაქსიმალურად შეიგნო და დააფასა, იგი მოგებული დარჩა ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

მეცნიერება და სპორტი.. ეს სიტყვები ხშირად გვესმის, მომავალში უთუოდ კიდევ უფრო ხშირად გავიგონებთ. ინტუიცია, მდიდარ პირად გამოცდილებაზე დაფუძნებული წვრთნა-ვარჯიშის მეთოდი, ცნობილ ჭეშმარიტებამდე დამოუკიდებელი გზით მისვლა დიახაც კარგი საქმეა, მაგრამ მხოლოდ ინტუიციით დაჯილდოებული ადამიანი ვერ გაუტოლდება მეორეს, რომელსაც მოწოდებასთან და ინტუიციასთან ერთად მომადლებული აქვს მეცნიერული წვდომის უნარი.

ფენომენალური მონაცემებით დაჯილდოებული სპორტსმენები ჩვენს რესპუბლიკაში თითზე ჩამოითვლება. მათი ნიჭი თვით დღევანდელ პირობებშიც კი, როცა უსაზღვროდ გამძაფრდა კონკურენცია და მეტოქეთა ოსტატობა ფრიად დაუახლოვდა ერთმანეთისას, მაინც თავის სიტყვას ამბობს. ეს მაშინ, როცა მეცნიერება სუსტ სამსახურს უწევს ამა თუ იმ გამოჩენილ სპორტსმენს. წარმოიდგინეთ, როგორ გაიზრდებოდა სპორტსმენთა ეგრეთ წოდებული საშუალო ნაკადის მაჩვენებლები, წვრთნის თანამედროვე მეთოდიკისა და მეცნიერებისთვის რომ მიგვემართა. მაშინ დავრწმუნდებოდით, რომ სპორტსმენი დიდ ათლეტად მუდამ თავისით როდი იბადება. აღარ იარსებებდა ტრიალი მინდვრის პრინციპი, როცა ეკალბარდში და ჯაგნარში ეგზოტიკური, საოცარი სილამაზის ყვავილი და მცენარე ამოიზრდება. მინდორს მოვლა-პატრონობა, აგრონომი და მებაღე სჭირდება, რათა მინდობილი არ ვიყოთ ბუნების კაპრიზს და ემპირიზმი არ იყოს ჩვენი ამოსავალი წერტილი.

დიდხანს, ძალიან დიდხანს მოგვიხდება ლოდინი, ვიდრე ჩვენს თბილისის „დინამოში“ კიევის „დინამოს“ ძალის ფეხბურთელები თავისით მოიყრიან თავს. განა იმიტომ, თითქოს კიეველები ზესპორტსმენები არიან. უბრალოდ, ყოველი მათი ნაბიჯი, ტექნიკურ-ტაქტიკურ, ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ბიომექანიკურ ფაქტორებზე რომ არაფერი ვთქვათ, ზედმიწევნითაა შესწავლილ-გაანალიზებული მეცნიერების უახლესი სიტყვის საფუძველზე. ამიტომ ამ მომენტის გაუთვალისწინებლად ჩვენ კარგა ხანს, ანდა მუდამ ვიქნებით ტრიალ მინდორში რომელიმე ეგზოტიკური მცენარის გამოჩენის იმედით.

კიეველები არ მალავენ იმას, რომ მჭიდროდ არიან დაკავშირებული სამეცნიერო ცენტრებთან და მათი კვლევის შედეგებით საზრდოობენ. მალავენ კი არა, საქვეყნოდ ამაყობენ ამით. რა შედეგიც გამოიღო ამ კონტაქტმა, ეს ყველასთვის მზესავით ნათელია, ყველასთვის, ჩვენს გარდა.

იმედია, კიევური ექსპერიმენტის შემდეგ ირონიულად ცოტა თუ ვინმე ჩაიქირქილებს მეცნიერებისა და სპორტის ურთიერთკავშირის სარგებლობის თაობაზე. მაგრამ არც ხელების ჩამოშვება ვარგა — აქაოდა, ის კიევია, ჩვენ თბილისი ვართო. მოძმე რესპუბლიკების სპორტული გამოცდილება ყველასთვის საერთო და ხელმისაწვდომია. მადლობა ღმერთს, საბჭოთა ქვეყანაში ისეთი უზარმაზარი გამოცდილება და ცოდნა დაგროვდა სპორტისა და მეცნიერების კონტაქტის სფეროში, უცხოური ლიტერატურისა და გამოცემების ფურცვლა აღარ გვჭირდება, თუმცა არც ეს გვაწყენდა. ოლიმპიურ თამაშებს თვითდინებაზე მიშვებული სპორტი ვერ მოიგებდა, ვერც კიევის „დინამო“ გადაულუნავდა მკლავს ევროპის საუკეთესო პროფესიულ კლუბებს.

ყოველივე ამას მტკიცე საძირკველი აქვს ჩაყრილი და საბჭოთა სპორტის შენობის ბალავარს სხვა ფაქტორებთან ერთად მეცნიერებაც აღუღაბებს.

(დასასრული მე-3 გვ.).

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

„შახტიორი" — ცსკა 2:0. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში არასწორად იყო მითითებული „შახტიორის" გამარჯვება „სპარტაკთან". დონეცკელები „სპარტაკს" გუშინ შეხვდნენ თავიანთს მინდორზე და გაიმარჯვეს — 1:0. გოლი შესვენებამდე გაიტანა სტარუხინმა (ეს შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის).

17 ოქტომბერს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

„ფახთაქორი" — „დინამო" (კიევი) 5:0. სენსაცია — სხვაგვარად ვერ უწოდებ ამ მატჩის შედეგს. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის, კონტინენტის სუპერთასის მფლობელმა, საკავშირო ჩემპიონატის უკონკურენტო ლიდერმა ასტრონომიული ანგარიშით წააგო მატჩი ტაშკენტში ერთ-ერთ აუტსაიდერთან. კიეველებს აკლდათ კოლოტოვი, მატვიენკო, ტროშკინი, რუდაკოვი და ვერემეევი, მაგრამ მისი შემადგენლობა მაინც სოლიდური იყო: სამოხინი, კონკოვი, ფომენკო, რეშკო, ზუევი, დამინი, მუნტიანი, ბურიაკი, კოჩუბინსკი, ონიშჩენკო, ბლოხინი (სლობოდიანი). ანგარიში 35-ე წუთზე გახსნა ხაძიპანაგისმა, შესვენების შემდეგ ორი ბურთი გაიტანა ისაკოვმა და ორიც — ანმა (მეორე — პენალტით). ალსანიშნავია, რომ „ფახთაქორმა" პირველ წრეშიც მოუგო კიევის „დინამოს" მის მინდორზე (1:0).

„არარატი" — „ლოკომოტივი" 2:0.

„კარპატი" — „ტორპედო" 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" კ.	25	15	7	3	44—25	37
„შახტიორი"	26	12	8	6	37—22	32
„ტორპედო"	27	12	7	8	40—29	31
„არარატი"	27	13	4	10	37—34	30
„დინამო" მ.	25	9	11	5	27—21	29
„კარპატი"	27	9	10	8	33—27	28
„დნეპრი"	26	10	8	8	31—27	28
„ზარია"	26	9	10	7	31—30	28
„სპარტაკი"	25	9	8	8	26—25	26
„დინამო" თბ.	26	10	6	10	29—30	26
„ჩერნომორ."	26	8	7	11	24—31	23
ცსკა	25	6	10	9	26—30	22
„ლოკომოტ."	27	5	11	11	24—31	21
„ფახთაქ."	27	8	5	14	30—41	21
„ზენიტი"	25	6	7	12	23—38	19
ასკ	26	4	7	15	22—43	15

II ლიგა I ზონა

„მეტალურგი" (რუსთავი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 4:1

17 ოქტომბერს რუსთაველმა ფეხბურთელებმა ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს უმასპინძლეს.

ერევნელები გათამაშების ცხრილში აუტსაიდერთა შორის არიან და მასპინძლებს მათი დამარცხება არ გასჭირვებიათ. თამაში დაიწყო „მეტალურგის" სრული უპირატესობით, სტუდენტთა კართან ზედიზედ შეიქმნა რამდენიმე სახიფათო სიტუაცია და ბოლოს გოლიც გავიდა: 24-ე წუთზე აშაძე — მიქაშავიძის კომბინაცია ზუსტი დარტყმით დამთავრდა.

ცოტა ხნის შემდეგ ალადაშვილმა კარგად გამოიყენა კენკიშვილის გადაცემა — 2:0.

ტაიმი ისე დამთავრდა, სტუმრებს ერთხელაც არ ჰქონიათ კარში დარტყმის შესაძლებლობა.

შესვენების შემდეგ ალადაშვილმა მესამე ბურთის გატანა შეძლო.

67-ე წუთზე ერევნელებმა კონტრიერიში განახორციელეს და გალსტიანმა გოლით დაამთავრა იგი, მაგრამ ათიოდე წუთის მერე ალადაშვილმა კვლავ გამოიჩინა თავი და სტუმრების კარში მეოთხე ბურთი აღმოჩნდა.

რ. გაბრიჭიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

რუსთავი.

ლიდერებში დიდი სიმჭიდროვეა

ფრუნზე, 18 ოქტომბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა 35-ე საკავშირო ჩემპიონატის ფინალის X ტურის დროს გამოცხადდა, რომ ფრუნზელი ბ. სამაგანოვა შეჯიბრებას ვამოეთიშა ავადმყოფობის გამო და მისი შედეგები გაუქმდა.

ამ დღეს ხუთი შეხვედრა დამთავრდა. მ. რანიკუმ (ტალინი) თავისი პირველი პარტია მოიგო: მან ლ. შჩერბინა (სევასტოპოლი) „იმსხვერპლა". ლენინგრადის ჩემპიონი ლ. კრისტოლი დამარცხდა მ. ლიტინსკაიასთან (ლვოვი), ნ. გურიელი (თბილისი) — თ. ბელოვასთან (ფსკოვი), ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი) — ლ. საუნინასთან (სვერდლოვსკი). ყაიმით დამთავრდა ლ. ბელავენეც (მოსკოვი) — ე. ახმილოვსკაიას (კრასნოიარსკი) შეხვედრა.

გურიელმა ბელოვასთან ფრანგული დაცვა გაითამაშა. მას მეტოქის ტაქტიკური დარტყმა გამოეპარა და ეტლში ორი ფიგურა დაკარგა, მერე უკვე ძნელი იყო პარტიის გადარჩენა (გუშინდელ ინფორმაციაში IX ტურის შესახებ შეცდომა გაიპარა: გურიელმა პარტია გადადო ლიტინსკაიასთან და არა ახმილოვსკაიასთან, რომელსაც ბრწყინვალედ მოუგო VIII ტურში. — რედ.).

სამი პარტია გადაიდო. ე. ფატალიბეკოვას (მოსკოვი) უპირატესობა აქვს ტ. ფომინასთან (ტალინი), ა. გრინფელდს (კალინინგრადი) — ნ. ტიტორენკოსთან (მოსკოვი).

მ. ჩიბურდანიძემ (თბილისი) ტ. ზატულოვსკაიასთან (მოსკოვი) თეთრებით ძველინდური დაცვა გამოიყენა. მანევრულ თამაშში მაიამ პოზიციური უპირატესობა მოიპოვა და გადადებულ პარტიაშიც ინარჩუნებს მას.

10 ტურის შემდეგ ლიდერობს საუნინა — 5,5 ქულა და 2 გადადებული პარტია. შჩერბინას, ფომინასა და ახმილოვსკაიას დააკლდათ სამაგანოვასთან მოპოვებული ქულები. შჩერბინას 5 ქულა აქვს, ფომინას — 4,5 ქულა და 3 გადადებული პარტია, ახმილოვსკაიას — 4,5 (1). ლიდერთა ჯგუფში არიან, აგრეთვე, ბელავენეცი — 5,5, ჩიბურდანიძე — 4,5 (3), ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — 4,5 (1).

მ. შიშოვი,

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

ბრონშტეინს ვერ გაასწრეს

კიშინიოვში, ვაჟთა 43-ე საკავშირო შეჯიბრების I ლიგის ტურნირში 10 ტურის შემდეგ ლიდერობენ დ. ბრონშტეინი, ბ. გულკო (ორივე — მოსკოვი) — 6,5-6,5 ქულა, ი. კლოვანი (რიგა) და ნ. რაშკოვსკი (კურგანი) — 6-6. ეს გამოირკვა 17 ოქტომბერს, როცა დასრულდა გადადებული პარტიები.

ბრონშტეინის გასწრება შეეძლო რაშკოვსკის, რომელსაც 5,5 ქულა და 2 გადადებული პარტია ჰქონდა, მაგრამ კურგანელი მოჭადრაკე მ. ტაიმანოვთან (ლენინგრადი) დამარცხდა, მ. პოდგაეცთან (ოდესა) კი მხოლოდ ყაიმს მიაღწია. სამაგიეროდ, ბრონშტეინს გულკო გაუტოლდა. მას ი. ივანოვი (დუშანბე) დაუზავდა.

მცდარი ექსპერიმენტი

დღეს მივიწყებულ მეფის გამბიტს მოჭადრაკეები XIX საუკუნეში თამაშობდნენ. მაგრამ ა. ალიოხინის მემორიალის IV ტურში ა. პლანინცმა (იუგოსლავია) ვ. კორჩნოის (სსრ კავშირი) წინააღმდეგ გამოიყენა იგი. ჩვენს დროში შავებით დაცვის სხვადასხვა გზა არსებობს. მარჯვედ თამაშით კორჩნოი უპირატესობას თავად დაეუფლა და ნეტოქის მეფის პოზიცია 19 სვლაში გაანადგურა.

ტ. პეტროსიანმა (სსრ კავშირი) მეთოდური თამაშით სძლია გ. ბიომს (ჰოლანდია). ა. ბელიავსკი (სსრ კავშირი) — ვ. ჰორტის (ჩეხოსლოვაკია) შეხვედრის ბედი მძაფრ ცაიტნოტში გადაწყდა. ჰორტს საათზე ალამი ჩამოუვარდა და წაგება ჩაეთვალა.

ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: რ. ვაჰანიანი — მ. ტალი, ე. გელერი (სამივე — სსრ კავშირი) — ლ. ლენდიელი, გ. ფორინტოში (ორივე — უნგრეთი) — ბ. სპასკი (სსრ კავშირი) და ს. გარსია (კუბა) — რ. ბირნი (აშშ).

დაუმთავრებელი დარჩა რ. ხოლმოვ (სსრ კავშირი) — მ. სტინის (ინგლისი) შეხვედრა.

4 ტურის შემდეგ ვაჰანიანს, ბელიავსკისა და გელერს 3-3 ქულა აქვთ, პეტროსიანს, სპასკის, ფორინტოშს — 2-2 ქულა და თითო გადადებული პარტია.

ყინულის მოედნებზე

17 ოქტომბერს გაიმართა ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატის სამი მატჩი, სულ კი უკვე ჩატარებულია 60 შეხვედრა — უკან დარჩა გათამაშების ერთი მესამედი.

ნოვოსიბირსკში ადგილობრივმა „სიბირმა" წააგო ჩელიაბინსკის „ტრაქტორთან" — 1:8 (0:1, 0:4, 1:3). ჩელიაბინსკელებმა საუცხოოდ ითამაშეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მათ მეორე პერიოდში 9 წუთის განმავლობაში ზედიზედ ოთხი შაიბა მოათავსეს მასპინძელთა კარში.

შაიბები გაიტანეს: გამარჯვებულთაგან — მაკაროვმა (2), ევსტიფეევმა (2), პ. პრიროდინმა, შორინმა, ბელოუსოვმა და ეგორკინმა; წაგებულთაგან — ჩურიკოვმა.

ვოსკრესენსკში გამართული მატჩიც სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა: მოსკოვის სპარტაკელებმა მწვავე ბრძოლაში ადგილობრივ „ხიმიკს" სძლიეს — 3:2 (2:0, 1:2, 0:0). თამაში კორექტულად მიმდინარეობდა: მასპინძელთაგან მოთამაშე მხოლოდ ერთხელ გააძევეს, სტუმართაგან — ორჯერ.

შაიბები გაიტანეს: მოსკოველთაგან — კრილოვმა, შალიმოვმა და კოროტკოვმა; ვოსკრესენსკელთაგან — კრუტოვმა და ა. გოლიკოვმა.

მოსკოვში სსრ კავშირის ჩემპიონმა ცსკა-მ ანგარიშით 4:1 (1:1, 2:0, 1:0) დაამარცხა რიგის „დინამო". არმიელთა რიგებში კვლავ ვიხილეთ განკურნებული პოპოვი, რიგელებს კი აკლდათ ხატულევი, რომელიც ჩხუბის გამო სპორტტექნიკური კომისიის გადაწყვეტილებით ორი მატჩითაა დისკვალიფიცირებული. და მაინც, პირველი პერიოდი რიგელების პატარა უპირატესობითაც კი მიმდინარეობდა. მოსკოველებმა მხოლოდ მეორე პერიოდში შეძლეს თამაშის სადავეების ხელში აღება. ჩემპიონთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თავდამსხმელები ლობანოვი და ვიკულოვი.

შაიბები გაიტანეს: არმიელთაგან — ლობანოვმა (2), ალექსანდროვმა და პეტროვმა; დინამოელთაგან — მარკოვმა.

უეფა-ს ცნობით

უეფა-ს ხამდივნომ ბერნში გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობა, რომლის მიხედვითაც დღეისთვის ყველაზე მეტი მსაჯი ევროპის ქვეყნებში სსრ კავშირის საფეხბურთო ფედერაციას ჰყავს — 94 ათასი.

შემდეგ მოდიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (84100) და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (15842).

23 ნოემბერსა და 7 აპრილს

როგორც საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციები შეთანხმდნენ, ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატის, ან როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, უეფა-ს ტურნირის შესარჩევი მატჩები ამ ქვეყნების ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებს შორის გაიმართება 23 ნოემბერს გდრ-ში და გაისად, 7 აპრილს, სსრ კავშირში.

ჭადრაკის დედოფლის ტახტისთვის

3. ჭეშმარიტად უძლიერესნი

როცა 1963 წლის ზამთარში ნონა გაფრინდაშვილმა ბევერვეიკის (ჰოლანდია) ქალთა საერთაშორისო ტურნირში ყველა მეტოქე დაამარცხა, სპეციალისტებმა ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი ლეგენდარული ვერა მენჩიკის ღირსეულ მემკვიდრედ აღიარეს. მაშინვე ინგლისის, შვეციისა და ჰოლანდიის ჭადრაკის მესვეურებმა იგი ვაჟებთან საპაექროდ მიიწვიეს. ახალგაზრდა ქალმა ჰასტინგსის საშობაო ტურნირში ისურვა თამაში. იქ მონაწილეობა ნონას დიდ პატივად მიაჩნდა, ვინაიდან მასპინძლებს მასში ქალთაგან სათამაშოდ მხოლოდ ვერა მენჩიკი მიუწვევიათ.

ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონმა ყველას გაუმართლა იმედები: 1963-64 წლების შესარჩევ ტურნირში I-II ადგილები გაიყო, 1964-65 წლების მთავარ ტურნირში კი V ადგილი დაიკავა. ასე ძლიერად ვერა მენჩიკსაც არასოდეს უთამაშია ჰასტინგსში, თუმცა ზევრჯერ იყო საშობაო ტურნირის მონაწილე. სხვათა შორის, მ. ბოტვინიკმა პირველად ჰასტინგსში (1934-35 წწ.) V-VI ადგილები გაიყო.

ყველასთვის ნათელი შეიქნა, რომ მსოფლიო ჩემპიონის გვირთხი საიმედო ხელს ეკავა. მერე, როცა ქართველმა მოჭადრაკემ ორჯერ დაიცვა ჭადრაკის დედოფლის ტახტი, ე. ზიკოვამ დაწერა: „ათეული წლების მანძილზე როგორც ქალთა ყველა შეჯიბრებას მონაწილესა და დამსწრეს შემიძლია ვთქვა, რომ ვერა მენჩიკის შემდეგ ქალთა ჭადრაკში ნონასნაირი ოსტატი პირველად გვყავს".

უკვე ცამეტი წელიწადია ნონა გაფრინდაშვილი იღვწის ქალთა ჭადრაკის სრულყოფისთვის, მისი ავტორიტეტისთვის. იგი აქტიურად მონაწილეობს ვაჟთა ტურნირებშიც, რომლებშიც თვალსაჩინო წარმატებები აქვს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ნონა ერთადერთი ქალია, რომელმაც საბჭოთა ოსტატის ვაჟის ნორმატივი შეასრულა. ამიტომ მას სიამოვნებით იწვევენ ვაჟებთან სათამაშოდ შვეციაში თუ ესპანეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თუ იუგოსლავიაში, ჰოლანდიაში...

1965 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, რიგაში ნონა გაფრინდაშვილმა პირველად დაიცვა ჩემპიონის ტიტული, გაიმარჯვა ანგარიშით 8,5:4,5 (+7—3=3). გაფრინდაშვილმა მეორედაც გაიმარჯვა პრეტენდენტთან მატჩში 1969 წლის აპრილ-მაისში (თბილისი-მოსკოვი) — 8,5:4,5 (+6—2=5).

1967 წელს პრეტენდენტთა ბრძოლაში პირველად მიიღო მონაწილეობა 18 წლის ნანა ალექსანდრიამ, რომელიც იმ დროს უკვე სსრ კავშირის ჩემპიონი გახლდათ. ნიჭიერ ახალგაზრდას გამოცდილება არ ეყო სტარტზე აღებული ტემპი და ლიდერობა ბოლომდე რომ შეენარჩუნებინა.

წარუმატებლობამ თითქოს ფრთები შეასხა: ნანა თავგამოდებით მიილტვის გამარჯვებისკენ. 1968 და 1969 წლებში იგი კვლავ საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონია, საქართველოს ქალთა V საერთაშორისო ტურნირის პირველი პრიზიორია და შესანიშნავად თამაშობს ქალთა IV საჭადრაკო ოლიმპიადაში ლიუბლინში. ყველამ ირწმუნა, რომ ნანა ალექსანდრია უახლოეს დროში პრეტენდენტის წოდებას მოიხვეჭდა.

იმ დროს სულ უფრო ხშირად ვიხსენებდით მეგობრები ღვაწლმოსილი

მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის სიტყვებს: „მჯერა, დადგება დრო და მსოფლიო ჩემპიონობაში ნონას ნანა შეეცილება!"

ამას ჯერ კიდევ 1964 წელს ამბობდა მგზნებარე მამულიშვილი და კაცური კაცი, რომელმაც დიდი ჭადრაკის გზაზე გაიყვანა ჯერ ნონა, მერე — ნანა. შემდგომ ჩვენც გვჯეროდა, რომ ასე მოხდებოდა, ოღონდ გულს გვწვავდა ის, რომ თავად ვახტანგ ქარსელაძე მათს მატჩს ვერ დაესწრებოდა.

1969 წლიდან ფიდე-მ მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემა გააფართოვა. სამწლიანი ციკლი ასეთი გახდა: ზონალური ტურნირები, საზონათშორისო ტურნირი, პრეტენდენტთა მატჩები (ორი ნახევარფინალი, ფინალი) და მატჩი მსოფლიო ჩემპიონთან.

1971 წელს ნანა ალექსანდრიამ ბრწყინვალედ მოიგო ოხრიდის (იუგოსლავია) საზონათშორისო ტურნირი. იმავე წელს მან ამაღელვებელ ბრძოლაში, პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში სძლია გამოჩენილ იუგოსლაველ მოჭადრაკეს მ. ლაზარევიჩს (5,5:4,5), შემოდგომაზე კი ფინალურ მატჩში დამარცხდა — 2,5:6,5.

1972 წელს რიგაში, შემოდგომაზე მსოფლიო ჩემპიონმა მესამედ შეინარჩუნა უმაღლესი წოდება. ნონამ ძველი მეტოქე კვლავ დაამარცხა — 8,5:7,5 (+5—4=7).

ერთი წლის შემდეგ ესპანეთის კუნძულ მენორკაში მსოფლიო პირველობის ახალი ციკლის საზონათშორისო ტურნირი გაიმართა. ტურნირმა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი ვ. კოზლოვსკაია დაასახელა. დანარჩენი ორის გამოსავლენად საჭირო შეიქნა დამატებითი მატჩ-ტურნირის გამართვა. ამ პაექრობაში (კისლოვოდსკი, 1974 წ.) უდიდესი ძალით ითამაშა ნანა ალექსანდრიამ: მან სამივე მოცილეს — მ. შულს, ი. ლევიტინასა და ნ. კონოპლიოვას (ყველა — სსრ კავშირი) მოუგო მიკრო-მატჩები.

1974 წლის მეორე ნახევარში, რიგაში პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში ნანამ დიდი პათოსით შეუტია სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონს შულს და გაიმარჯვა — 5,5:2,5. ფინალში მძაფრი ბრძოლის შემდეგ გავიდა ლევიტინაც, რომელმაც ნახევარფინალური შეხვედრა კოზლოვსკაიას მოუგო — 6,5:5,5.

წლეულს გაზაფხულზე, მოსკოვში გაიმართა პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ალექსანდრია — ლევიტინა, რომელიც უდიდესი სიმწვავით და დაძაბულობით აღინიშნებოდა. ურთიერთობის გამოსარკვევად მეტოქეებს 17 პარტიის (!) თამაში დასჭირდათ. მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის თამაშის უფლება ქართველმა მოჭადრაკემ მოიპოვა. მან გაიმარჯვა ანგარიშით 9:8.

აღსრულდა ვახტანგ ქარსელაძის წინასწარმეტყველება!

დიდი ქების ღირსია ნანა ალექსანდრია, რომელიც 8 წელი შეუპოვრად, თავგამოდებით მიილტვოდა დასახული მიზნისკენ. ამ ხნის მანძილზე ნანამ თავისი სპორტული ბიოგრაფია ბევრი სხვა სასახელო წარმატებითაც დაიმშვენა. მაგალითად, 1970 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასი მოიპოვა, 1974 წელს კოლუმბიაში ქალთა VI საჭადრაკო ოლიმპიადაში — ჩემპიონის ოქროს მედალი.

მსოფლიო ჩემპიონს ღირსეული და ძლიერი მეტოქე ჰყავს.

ამ პერიოდში ნონა გაფრინდაშვილმაც რამდენიმე სასახელო გამარჯვება იზეიმა. საკმარისია ითქვას, რომ მან ორჯერ შინ წამოიღო ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასი, ორჯერ — 1971 წელს ბელგრადისა და 1975 წელს ტიმიოშარის ქალთა საერთაშორისო ტურნირებში ყველა, 13 მეტოქე დაამარცხა, დორტმუნდში 1974 წელს კი დიდოსტატ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში III-IV ადგილები გაიყო.

ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონი და პრეტენდენტი დღეს ქალთა ჭადრაკში ჭეშმარიტად უძლიერესნი არიან. ამიტომაც მათს მატჩს უდიდესი ინტერესით მოელის სპორტული საზოგადოება.

არ შეიძლება სიამაყის გრძნობა არ დაგეუფლოს, როცა გაიხსენებ, რომ ორივე შესანიშნავი მოჭადრაკე საქართველოს საჭადრაკო ორგანიზაციის აღზრდილია.

თ. გიორგაძე.

• • •

სურათზე (იგი 1964 წელსაა გადაღებული): ვახტანგ ქარსელაძე და მისი აღზრდილები ნონა გაფრინდაშვილი (მარჯვნივ) და ნანა ალექსანდრია.

მეცნიერება — სპორტს

თუ მთა არ მიდის მუჰამედთან...

დასასრული

რაღა შორს წავიდეთ, ავერ სულ რამდენიმე ხნის წინათ მსოფლიო კიდევ განაცვიფრეს კლასიკური სტილის საბჭოთა მოჭიდავეებმა. მათ მხოლოდ ორ წონით კატეგორიაში დათმეს ოქროს მედალი. საამაყოა? საამაყოა და საგულისხმოც. სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ოლენიკი „სოვეტსკი სპორტში" გამოქვეყნებულ კომენტარში ხაზგასმით აღნიშნავდა ერთობ საყურადღებო მომენტს. სიტყვასიტყვით მოგვაქვს მისი მოსაზრება, რომელიც არავისთვის საკამათო არ არის: „ამჟამად, როცა ვფიქრობთ, თუ როგორ მოვიპოვეთ ეს გამარჯვება, ჩვენ ვიგონებთ იმ მჭიდრო და ნაყოფიერ თანამეგობრობას, რომელიც დამყარდა ნაკრების მწვრთნელებსა და სამეცნიერო ბრიგადას შორის. ჩვენ დიახაც უფლებამოსილი ვართ ვთქვათ, რომ ჩემპიონატისთვის ნაკრების მზადების მთელი პროცესი მეცნიერულად დასაბუთებული იყო და სწორედ ეს დაგვეხმარა შეუცდომლად მიგვეყვანა ათლეტები ჩემპიონატამდე საუკეთესო ფორმაში".

ეს სიტყვები მხოლოდ მოჭიდავეებს არ შეეხება. იგი ვრცელდება სპორტის ყველა სახეობაზე. მე უკვე ვხედავ შუბლშეჭმუხნილ ოპონენტებსა და მესმის მათი უკმაყოფილო კომენტარი: ეს ნაკრებზეა ნათქვამი, მსოფლიოს საუკეთესო გუნდზე და სწორი არ იქნება ამ საზომით ჩვენებურ ჭიდაობას მივუდგეთო.

საქმეც ისაა, რომ საუკეთესო გუნდებს უნდა მივბაძოთ და მათგან ყოველივე პროგრესული სიახლე გადმოვიღოთ. თანაც ის, რაც ნაკრებს შეეხება, ეკუთვნის საბჭოთა ქვეყნის მოწინავე საჭიდაო სკოლებსაც. ბოლოს და ბოლოს, ნაკრები სიმბოლური გუნდია და სხვადასხვა რესპუბლიკის ათლეტებითაა დაკომპლექტებული. უკვე ის ფაქტი, რომ მასში ადგილი არ მოინახა არც ერთი ჩვენი ფალავნისთვის, მეტად დამაფიქრებელი და შემაშფოთებელი გახლავთ. თუმცა, ეს სავსებით ლოგიკურია, რაც თვალნათლივ დაგვანახვა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადამ.

მოვიყვან კიდევ ერთ ციტატს ოლენიკის წერილიდან: „ჩვენი სპორტსმენების მზადების პროცესში ბევრი რამ ახალი იყო. ეს ნაკარნახევი გახლდათ, ერთი მხრივ, საგრძნობლად შეცვლილი საჭიდაო წესებით, ხოლო, მეორე მხრივ, წვრთნის მეთოდიკის ცოდნის გამდიდრებით. მოჭიდავეებს მეტს ავარჯიშებდნენ გამძლეობისა და სისწრაფის გამოსამუშავებ ლ ა დ. ჩვენმა მწვრთნელებმა ისწავლეს დიდი დატვირთვის ზუსტი შეხამება ენერგიის აღდგენასთან. სწორედ ამიტომ გამოიყურებოდნენ ჩვენი ბიჭები მსოფლიო ჩემპიონატის სარბიელზე ცოცხლად, ძლიერად, სწორედ ამიტომ იყვნენ ბრძოლის წყურვილით ანთებული".

როგორ აკლდა ეს თვისებებიც ჩვენი მოჭიდავეების გუნდს საკავშირო სპარტაკიადაში, როგორ შორს წასულა ჭიდაობა, ჩვენ კი მამაპაპურად (ამ სიტყვის ცუდი გაგებით) ვემზადებოდით გადამწყვეტი ბრძოლებისთვის. ეს გახდა სწორედ ჩვენი სამარცხვინო გამოსვლის მიზეზიც.

ვიმეორებთ, რასაც მოჭიდავეებზე ვამბობთ, იგივე ითქმის სხვებზეც, სპორტის ნაირნაირ სახეობებზეც. მეცნიერებას ამ სახეობებში ჯერჯერობით არაფერი ესაქმება, იგი გართულია ზოგადი სპორტული მეთოდური პრობლემებით. მიწაზე კი ისე იშვიათად ჩამოდის, რომ მას ჩვენში ვერავინ ამჩნევს — ვერც მწვრთნელი, ვერც სპორტსმენი.

მეცნიერებისა და სპორტის თანამეგობრობის აუცილებლობას ერთი საინტერესო ფაქტიც ნათელყოფს. ყველას აქვს გაგონილი საბჭოთა ფარიკაობის დიდოსტატის, სპორტის დამსახურებული ოსტატის დავით ტიშლერის სახელი. ტიშლერი ჩინებული სპორტსმენი იყო და სარბიელის დატოვების შემდეგ არანაკლები უნარი გამოავლინა სამწვრთნელო სარბიელზეც. ამ დინჯმა, ინტელექტუალურმა მწვრთნელმა საბჭოთა ფარიკაობას ბევრი კარგი ოსტატი გამოუზარდა. რა არის ტიშლერის, როგორც აღმზრდელის, წარმატების საიდუმლო? ერთი შეხედვით იგი, ეს „საიდუმლო", ერთობ მარტივია და დაახლოებით ამგვარად შეიძლება გამოიხატოს: ტიშლერს კარგად აქვს შეგნებული, რომ მისი აღსაზრდელები მკაფიო სპორტულ ინდივიდებს წარმოადგენენ და მათს მოსამზადებლად ერთი რომელიმე თარგი არ გამოდგება.

ხომ მართლაც მარტივი მოსაზრებაა? განა ეს პოსტულატი, თითოეულმა, თუნდაც საშუალო მწვრთნელმა კარგად არ იცის? დიახ, ეს ყველას მოეხსენება, მაგრამ, სამწუხაროდ, დასახული ამოცანის რეალიზაცია ყველას როდი ძალუძს. საამისოდ საჭიროა მაღალი კვალიფიკაცია, ინტელექტი, მეცნიერების სპეციფიკური დარგების საფუძვლიანი ცოდნა. იმას, რაც ტიშლერს შეუძლია და იცის, მწვრთნელს ვერ მოვთხოვთ. ტიშლერი ხომ საბჭოთა ფარიკაობის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. მაგრამ თვით ტიშლერიც კი, რომლის სამწვრთნელო-პედაგოგიური და, თუ გნებავთ, სამეცნიერო ერუდიცია ეჭვს არ იწვევს, თავის აღსაზრდელთა სრულფასოვანი მომზადებისთვის არ თაკილობს მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს მეცნიერების სამყაროსთან. მან კარგად იცის, რომ ერთი გამჭრიახი კაცის გონება კარგია, ორისა კიდევ უფრო კარგი, ხოლო თუ მათ მეცნიერების წარმომადგენლებიც დაეხმარებიან, უკეთესი რა შეიძლება იყოს?

ტიშლერის დამოკიდებულებას ფარიკაობისადმი თამამად შეიძლება ვუწოდოთ შემოქმედებითი, ნოვატორული, პროგრესული. მე მინახავს, როგორ ავარჯიშებდა იგი, მაგალითად, ორ დიამეტრულად განსხვავებულ სპორტსმენს ვ. სიდიაკსა და მ. რაკიტას. არავითარი შაბლონი, ერთფეროვნება, ყველაფერი მიმართული იყო იმისკენ, რომ სპორტსმენებს განევითარებინათ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თვისებები. ამიტომ არ ჰგავს ერთის ვარჯიში მეორისას. დიახ, რამდენი მოწაფეცა ჰყავს ტიშლერს, იმდენი სისტემა და თარგი აქვს მოძებნილი მათი შემდგომი დაოსტატებისთვის. განწვდება ასეთ ზღვა საქმეს ერთი კაცის ჭკუა-გონება? რა თქმა უნდა, ვერა. და აი, სწორედ აქ მოუხმობს ტიშლერი თავისი კოლეგების გამოცდილებას, მეცნიერთა და სპეციალისტთა ცოდნას. ასეთ ერთობლივ მუშაობას აკი საუცხოო შედეგიც მოსდევს.

ტიშლერი დახმარებას არ უკადრისობს, ჩვენს ფარიკაობაში კი გადააწყდებით მწვრთნელებს, რომელთა კვალიფიკაცია ტიშლერისას აშკარად ჩამოუვარდება, მაგრამ დახმარებისთვის არავის მიმართავენ — აქაოდა, ყველაფერი ჯიცით, საშველად სხვას რაღად მივმართოთ. ამიტომაა, რომ ქართულ ფარიკაობაში, ისევე, როგორც სპორტის სხვა სახეობებში, მომრავლდნენ საშუალო, ინდივიდუალობადაკარგული სპორტსმენები. აი, როდის არის რაოდენობა ხარისხსსაზიანოდ!

არ დამავიწყდება ერთი საინტერესო ამბავი. ჩემი კოლეგა ტიშლერზე არანაკლებ ცნობილ სპეციალისტს მარკ მიდლერს შევახვედრე. ინტერვიუ კარგა ხანს გაგრძელდა. ჟურნალისტი გაოცებული იყო — არ ვიცი, მწვრთნელს ველაპარაკე თუ მეცნიერსო. მისი განცვიფრება მით უფრო მესანიშნა, რომ მეგობარ ჟურნალისტს ბევრი თვალსაჩინო მწვრთნელისგან მიუღია ინტერვიუ და თავის დროზე თავად მისდევდა სპორტს.

სიტყვამ მოიტანა და ზოგიერთი ჩვენი მწვრთნელი (მარტო ფარიკაობას არ ვგულისხმობ) მოკლებულია ელემენტარული ლოგიკური მსჯელობის უნარს. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სატანჯველია ჟურნალისტისთვის მათგან ინტერვიუს აღება. „ენამზიანობის" უკმარობას თავი რომ დავანებოთ, ყველაზე საწყენი ისაა, რომ ისინი ასე თუ ისე გასაგებად და მისახვედრად ვერ გადმოგვცემენ გუნდის, ანდა სპორტსმენის მოგება-წაგების მიზეზებს. საკითხავია, როგორღა ახერხებენ ისინი აღსაზრდელებთან საუბარს და, მით უმეტეს, თეორიული კურსის ჩატარებას?

სპორტი წინ მიდის, ვითარდება, მწვრთნელთა ნაწილი კი თითქოს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ელოდება. ათეული წლობით მუშაობს ესა თუ ის მწვრთნელი და მისგან ამაოდ ველით სახიკეთო ნაყოფს. მისი არსენალი ძველებური, ტრადიციულია ამ სიტყვის ცუდი გაგებით. კონსერვატორ მწვრთნელს აღსაზრდელებიც შესაფერისი ჰყავს.

დიდი ხანია მომწიფდა მწვრთნელთა კვალიფიკაციის შემოწმებისა და გადახალისების საკითხი. საინტერესოა, რატომ არ მივეშველებით ამ საჭირბოროტო პრობლემის გადასაჭრელად ჩვენს მეცნიერებს, სპეციალისტებს, რომელთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენს მწვრთნელთა კონტინგენტის შეფობა, თუ გნებავთ, ობიექტური გამოცდის ჩატარება (ატესტაცია).

მეცნიერება და სპორტი... ამ სიტყვებს მომავალში უთუოდ უფრო ხშირად გავიგონებთ, ვიდრე დღეს, იმიტომ, რომ სპორტმა, მისმა წინსვლამ თვითონ გვიკარნახა ასეთი მჭიდრო ურთიერთკავშირის აუცილებლობა.

ჭეშმარიტად, თუ მუჰამედი არ მიდის მთასთან, მაშინ მთა მიდის მუჰამედთან. ჯერჯერობით კი ეს პრობლემა კიდევ მოითხოვს სრულფასოვან გადაწყვეტას.

ა. გოგელია.

ფიზიოლოგთა ფორუმის ერთი ფურცელი

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქმა 29 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე ფართოდ გაუღო კარი საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან წვეულ მეცნიერ-ფიზიოლოგებს — ფიზიოლოგთა XII საკავშირო ყრილობის დელეგატებს, ფიზიოლოგიური კვლევის აღიარებული სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებს, რომლებმაც შეაჯამეს თავიანთი ხუთწლიანი მუშაობა და განიხილეს მთელი რიგი თეორიული და პრაქტიკული პრობლემები თანამედროვე ფიზიოლოგიაში.

ყრილობა მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა საკავშირო საზოგადოებამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, ფიზიოლოგთა რესპუბლიკურმა საზოგადოებამ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა. მის მუშაობაში მონაწილეობდა 1200-ზე მეტი დელეგატი და საზღვარგარეთელი სტუმარი.

ეს ყრილობა იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ მისი მუშაობა დაემთხვა ჩვენი სასიქადულო მეცნიერის, საბჭოთა ფიზიოლოგიის ერთ-ერთი პატრიარქის, ქართული ფიზიოლოგიური სკოლის დამაარსებლის, საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო დღეებს.

ყრილობის მონაწილეთა შორის იყვნენ სპორტის ფიზიოლოგები, რომლებიც თავიანთს მოხსენებებს კითხულობდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში. ერთ-ერთი სხდომის შემდეგ ვესაუბრეთ ყრილობის დელეგატს, ახალგაზრდა მეცნიერს, საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტ ა. არუთიუნს (?) და ვთხოვეთ პასუხი გაეცა ჩვენს რამდენიმე შეკითხვაზე.

ინტერვიუ

● **რა საკითხებზე მუშაობთ სპორტის ფიზიოლოგიაში და რა მოხსენება წარადგინეთ ყრილობაზე?**

— ახლა ვმუშაობ გულსისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემების ცვლილებებზე სპორტულ საქმიანობასთან დაკავშირებით, ყრილობის წინაშე კი წარვსდექი მოხსენებით — „სასუნთქი ორგანოების ზოგიერთი მაჩვენებლების ცვლილება სუნთქვის ნებისმიერი რეგულაციის დროს". ამ თემის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი ქმნის დამატებითს შესაძლებლობებს აღდგენითი პერიოდის დაჩქარებისა, გვაძლევს მეცნიერულ საფუძველს სუნთქვითი ვარჯიშის გამოყენებისთვის.

● **რამ განაპირობა თქვენი მეცნიერული მუშაობა სპორტის ფიზიოლოგიაში?**

— ინსტიტუტში სწავლისას გატაცებული ვიყავი კალათბურთით. ვთამაშობდი „ბურევესტნიკის" შემადგენლობაში. ვარჯიშის პროცესში სხვადასხვაგვარი სიძნელეები გვხვდებოდა. მწვრთნელებთან საუბრისას ბევრი მათგანი ჩემთვის მაინც აუხსნელი რჩებოდა. ალბათ ამან განაპირობა ის, რომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩემი მოღვაწეობა ამ პრობლემების გადაჭრას მივუძღვენი.

● **თქვენი აზრით, რა როლს თამაშობს ფიზიოლოგია სპორტის განვითარებაში?**

— არის ასეთი გამოთქმა: სპორტი ფიზიოლოგია არისო მოქმედებაში. სავსებით ვეთანხმები ამ აზრს, რადგან თანამედროვე სპორტში მაღალი მიღწევები შეუძლებელია ღრმა ფიზიოლოგიური ანალიზების გარეშე.

● **რას თვლით ყველაზე დიდ ბედნიერებად?**

— ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება ის იქნება, რომ ჩემს მიერ მოწოდებული მეთოდი პრაქტიკაში დადებით შედეგს მოგვცემს და მოწონებას დაიმსახურებს.

● **რა წარმატებისთვის მიგიღწევიათ და თუ დაკმაყოფილებული ხართ მიღწეულით?**

— ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ სსრ კავშირის მოციგავეთა ნაკრები წლების მანძილზე სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდა საზღვარგარეთის გუნდებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სპორტის ფიზიოლოგთა იმ ჯგუფმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, შეიტანა სიახლეები მოციგავეთა საწვრთნელ მეთოდიკაში, ბოლო წლების განმავლობაში ჩვენს გუნდს შესაძლებლობა მისცა ფავორიტთა შორის ჩამდგარიყო. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი კოლექტივის თვალსაჩინო წარმატება იყო, თუმცა ამით საქმე არ ამოწურულა. ახლა ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისთვის, რათა ჩვენი მოციგავეები მომავალი ოლიმპიური თამაშების პრიზიორთა შორის ვიხილოთ.

● **ახლა გაზეთებში ბევრი იწერება საქართველოს სპორტსმენთა სუსტად გამოსვლაზე საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

— ეს საკითხი ძალიან ძნელია და ფართე, ამიტომ მასზე სრული პასუხის გაცემა ჩემს ძალას აღემატება, მაგრამ, როგორც ფიზიოლოგი, შევნიშნავ ერთს: სპორტსმენთა მომზადების მეცნიერული უზრუნველყოფა ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, თუმცა ბოლო ხანებში ერთგვარი ძვრები შეიმჩნევა.

● **როგორ გესახებათ ქართული სპორტის მომავალი მიღწევები?**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ ჩემი პროფესიის პოზიციებიდან შემიძლია. კერძოდ, ქართული სპორტის შემდგომი აყვავების ერთ-ერთი ძირითადი საწინდარი სპორტსმენთა კომპლექსურ შესწავლაში და მის პრაქტიკულ განხორციელებაში უნდა ვეძიოთ.

ვ. დანელია.

წინსვლის მძლავრი ბერკეტი

● მეცნიერება საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ●

დილიდან საღამომდე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დიდი აუდიტორიები ფიზიოლოგთა XII საკავშირო ყრილობის მონაწილეებით იყო სავსე. ამ საინტერესო ფორუმის სხდომები თბილისის ბევრ სამეცნიერო დაწესებულებაში იმართებოდა, მაგრამ საყურადღებოა, რომ ყრილობის მუშაობის ერთი მეოთხედი ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩატარდა. სწორედ აქ გაიმართა 14 ხალხმრავალი სიმპოზიუმი და სექციური სხდომა. ფიზიოლოგიის მეცნიერების ამ დიდსმნიშვნელოვანმა თავშეყრას უამრავი სტუმარიც დაესწრო.

სწორედ აქ ფიზიოლოგები მსჯელობდნენ ადამიანის ორგანიზმის ორი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის — კუნთებისა და გულის — განვითარებაზე, რომელიც მთლიანად ფიზკულტურის გავლენის ქვეშ იმყოფება. გასაკვირი არაა, რომ ყრილობის სხდომათა დარბაზები ივსებოდა არა მარტო სპეციალისტებით — ფიზიოლოგებით, არამედ ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებლებითა და სტუდენტებითაც კი. სპორტის ფიზიოლოგების მოხსენებათა მოსასმენად სხდომებზე სპორტსაზოგადოებებისა და მოზარდთა სპორტული სკოლების მრავალრიცხოვანი ცოდნისმოყვარე მწვრთნელებიც მოდიოდნენ.

ბუნებრივია, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტში ყოფნისას მეცნიერები დაინტერესდნენ მასპინძელი სასწავლებლის საქმიანობით. ისინი დაესწრნენ ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს, აკვირდებოდნენ სტუდენტთა სპორტულ წვრთნას.

სასიამოვნო იყო ინსტიტუტის კარგად მოწყობილი სპორტული დარბაზების ხილვა, მაგრამ ყველაზე მეტად კმაყოფილი დარჩნენ, როცა გაეცნენ ინსტიტუტის მუშაობას სამეცნიერო დარგში. მათ ნახეს უახლესი აპარატურით ბრწყინვალედ მოწყობილი ფიზიოლოგიის კათედრის აუდიტორია, განსაკუთრებული ინტერესით გაეცნენ შეჯიბრების მერე სპორტსმენთა ძალების აღმდგენი თანამედროვე მოწყობილობის მთელს სერიას, გაიგეს, რომ ინსტიტუტის განკარგულებაშია ისეთი ულტრა-თანამედროვე ხელსაწყო, როგორიცაა ვიდეო-მაგნიტოფონი, რომელიც სპორტსმენთა სამოძრაო მოქმედების ანალიზის სრულიად ახალ შესაძლებლობებს იძლევა არა მარტო შეჯიბრებებში, არამედ ვარჯიშის დროსაც.

სტუმრები გაკვირვებით ჩერდებოდნენ ელექტრონული აპარატურით აღჭურვილ სპეციალურ დარბაზში, რომელშიც მთავარი ადგილი ელექტროგამომთვლელ მანქანას ეკავა. ეს განუსაზღვრელად აფართოებს სპორტის, როგორც მეცნიერ-მუშაკის, აგრეთვე, პრაქტიკული მუშაკის შესაძლებლობებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამეცნიერო აპარატურის მსგავს კომპლექსს, რომელიც ემსახურება არა მარტო სამეცნიერო, არამედ პედაგოგიურ პროცესსაც, იშვიათად თუ ნახავ. ყრილობის ის მონაწილეები, რომლებიც უწინაც ყოფილან ამ ინსტიტუტში, განცვიფრებული იყვნენ, რომ ყველაფერი ეს უკანასკნელ წლებში შეიქმნა.

მეცნიერება ერთ ადგილზე არასდროს ჩერდება და მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი მომდევნო ნაბიჯის წინამორბედია. ეს დამახასიათებელია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეცნიერებისთვისაც. აქ დიდი მასშტაბითაა დაწყებული მუშაობა ყოველდღიურ პედაგოგიურ პროცესში მეცნიერული მეთოდებისა და სწავლების, წვრთნის ტექნიკური საშუალებების დანერგვისთვის. ყოველ კათედრაზე, სპორტის ყველა სახეობაში ჩნდებიან ხელსაწყოები, რომლებიც რევოლუციას ახდენენ სპორტულ-პედაგოგიურ პროცესში. მათი დახმარებით პედაგოგი, მწვრთნელი სტუდენტ-სპორტსმენს არა თვალზომით, არამედ ზუსტი საზომის კონტროლქვეშ ასწავლის. თვით სტუდენტები ისარგებლებენ ამ ტექნიკური მოწყობილობებით, რომლებიც ზოგჯერ ავტო-ტრენაჟერების როლსაც ასრულებენ.

ჩვენ ვცხოვრობთ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში. იგი ადამიანთა შემოქმედების ყველა მხარეს მოიცავს და თავს იჩენს სპორტული პედაგოგიკის დარგშიც. ამ საქმის წამომწყებია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და უნდა ვუსურვოთ მას წარმატება ამ ძნელ, მაგრამ განსაკუთრებულად პერსპექტიულ წამოწყებაში.

მეცნიერული მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების ასეთი გამოყენება პედაგოგიურ პროცესში აუცილებლად გამოიწვევს სპორტული შედეგების ზრდას ინსტიტუტის გარეთაც. ამ წამოწყებას აჰყვებიან სპორტსაზოგადოებები და სპორტსკოლები. ეს კი ჰავლინას იქონიებს ქართული სპორტის შემდგომ ზრდაზე.

ვ. ფარფალი (მოსკოვი), პროფესორი.

თბილისის ტრადიციული ტურნირი წყვილთა რბოლაში

უპირატესობის შენარჩუნება ძნელდება

გაუთვალისწინებელი შემთხვევა ველოსიპედისტს ყოველ მოსახვევში, ყოველ ვირაჟზე ელოდება. მაგრამ ბედი ზოგჯერ იქ სდარაჯობს სპორტსმენს, სადაც თითქოს ყველაზე ნაკლებადაა მოსალოდნელი. დანიელთა წყვილი კარგ ხასიათზე ბრუნდებოდა სასტუმროში მეოთხე ეტაპის შემდეგ. გეგმის ერთი ნახევარი წარმატებით განხორციელდა — იგი ლიდერია და მომდევნო ეტაპებზე ამ პოზიციის შენარჩუნებაა მთავარი.

მაგრამ მეორე დილით მოულოდნელად ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი დანიელი შეუძლოდ გამხდარა და მეხუთე-მეექვსე ეტაპების სტარტზე ვერ გამოვიდოდა. ლიდერი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სხვები ბრძოლაში კარგავდნენ სტარტის უფლებას და მაინც რაღაც იმედს ებღაუჭებოდნენ. მას კი ასე უცბად, ასე გაუთვალისწინებლად უნდა დაეთმო ბრძოლით მოპოვებული უპირატესობა.

გადაწყვეტილება მიიღო იმან, ვინც მარტო დარჩა. გადაწყვეტილება იყო გაბედული და, ამავე დროს, გონივრული. მარტოდ დარჩენილ მეწყვილეს არაფრით არ უნდა დაეთმო ადგილი ძირითად ჯგუფში და ამით შეენარჩუნებია წრე დისტანციური უპირატესობისა. მაგრამ სხვები, პირველ ყოვლისა კი ისინი, ვინც კვალდაკვალ მიჰყვებოდა დაწინაურებულებს, უსათუოდ შეეცდებოდნენ ამ ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენებას. ასე უფრო ადვილი იყო ლიდერთან გამკლავება, განსაკუთრებით ესტონელთა წყვილისთვის (№ 23), რომელსაც დანიის დუეტის მსგავსად მარაგში ჰქონდა წრე დისტანციური უპირატესობისა.

წინასწარ ვიტყვით, რომ ესტონელებმა მიზანს მიაღწიეს და მეექვსე ეტაპის შემდეგ ლიდერის ყვითელი მაისურები ჩაიცვეს. მაგრამ ეს ხელსაყრელი მომენტი მათ მთლიანად მაინც ვერ გამოიყენეს: მარტოდ დარჩენილმა დანიელმაც განახორციელა თავისი ჩანაფიქრი. იგი დარჩა ძირითად ჯგუფში, შეინარჩუნა დისტანციური უპირატესობა და ახლა ბოლო 4 ეტაპის წინ მთავარ კონკურენტთან მხოლოდ ქულას აგებს (დანიელებს 24 ქულა აქვთ, ესტონელებს — 25).

დანარჩენები? არც ისინი იყვნენ გულხელდაკრეფილი — ძირითად ჯგუფიდან „გაქცევას" ყველა მათგანი მორიგეობით შეეცადა. მაგრამ ჯგუფი ასეთ დროს ყურადღებად იყო ქცეული და ადვილად „იჭერდა" დაწინაურებულებს.

დაკარგული წრის ანაზღაურების ყველაზე სერიოზული ცდა გაკეთდა მეექვსე ეტაპზე, როცა ლიდერთა ძირითად მასას შეიდკაციანი ჯგუფი მოწყდა. ეს ჯგუფი თითქოს ახლო იყო მიზანთან — ნახევარ წრეს იგებდა, მაგრამ ესტონელებმა აიყოლიეს უკან დარჩენილნი და დაწინაურებულთა ნაშრომნაჯაფი წყალში გადაიყარა.

სამაგიეროდ, უჩვეულო ჟინიანობა და მიზანსწრაფვა გამოიჩინა 21-ე წყვილმა (კიშინიოველი ი. რიბაჩენკო და კიეველი ი. კუჩერიავი) — მეხუთე ეტაპზე იგი ექვსჯერ პრიზიორთა შორის იყო საშუალედო ფინიშებზე და ამისთვის 15 ქულა მიიღო. იგი საუკეთესო იყო შემდეგ ეტაპზეც (20 ქულა) და საბოლოო ჯამში 104 ქულის მფლობელი გახდა. ახლა ამ ველოსიპედისტთა მთავარი ამოცანაა ანგარიშის გასწორება ლიდერებთან. და თუ მათ შესძლეს ერთი წრის მოგება, დანიისა და ესტონეთის წყვილს ვეღარაფერი უშველის.

მაგრამ ასეთივე იმედებით სულდგმულობს სულ ცოტა შვიდი დუეტი, ყველაზე მეტად კი — მე-13 (ლენინგრადელები ნ. კრასკოვი და ა. დენისოვი), რომელსაც 6 ეტაპის შემდეგ 100 ქულა აქვს. ამ შვიდმა წყვილმა ჯგუფს ერთი წრით თუ გაუსწრო, ესტონეთისა და დანიის ველოსიპედისტები VIII-IX ადგილებზე აღმოჩნდებიან, მერე კი მათ ვერაფერი უშველის, ვინაიდან ცოტა ქულა აქვთ.

როგორც ხედავთ, ლიდერთა მდგომარეობა არც ისე მყარია და რბოლის მთელს სიუჟეტს დარჩენილ ოთხ ეტაპზე სწორედ ეს განსაზღვრავს.

რამდენიმე სიტყვა მე-18 წყვილზე, რომელშიც ჩვენს თანაქალაქელ ვ. ივანოვთან ერთად აშხაბადელი ა. ილარიონოვი გამოდის. იგი ჯერჯერობით V ადგილზეა. ამ დუეტმა მშვენივრად ჩაატარა მეხუთე ეტაპის ფინიშები, ექვსჯერ იყო პრიზიორთა შორის და 18 ქულა დააგროვა (ეს შედეგი 7 ქულით უარესია მე-13 წყვილის მაჩვენებელზე). მეექვსე ეტაპზე ილარიონოვი დაეცა. ამან ერთგვარად შეასუსტა წყვილის პოზიცია, თუმცა 13 ქულის აღება მან მაინც შეძლო.

რა მდგომარეობაა უძლიერესთა ათეულში მეექვსე ეტაპის შემდეგ?

1. ტ. ვილამა და უ. ტოომა (ესტონეთი, წყვილი № 13) — 25 ქულა და წრე დისტანციური უპირატესობისა;
2. გ. ფრანკი და ბ. სიორენსენი (დანია, № 6) — 24 ქულა და წრე დისტანციური უპირატესობისა;
3. ი. რიბაჩენკო (კიშინიოვი) და ი. კუჩერიავი (კიევი, № 21) — 104;
4. ნ. კრასკოვი და ა. დენისოვი (ლენინგრადი, № 13) — 100;
5. ვ. ივანოვი (თბილისი) და ა. ილარიონოვი (აშხაბადი, № 18) — 88;
6. ვ. გუბენკოვი და ა. სუდარჩიკოვი (ტულა, № 16) — 80;
7. პ. კოსეკი და ი. მიკშიკი (ჩეხოსლოვაკია, № 5) — 69;
8. ნ. სიდორენკო და მ. კოქუხოვი (ლიპეცკი, № 14) — 62;
9. ა. არონოვი (მოსკოვი) და ი. სობოლინი (ფრუნზე, № 22) — 44;
10. ზ. დოხნალი და მ. ინდრჟიხი (ჩეხოსლოვაკია, № 3) — 22.

ნ. გუგუშვილი.

* * *

სურათზე: ესტონელთა წყვილი (ტ. ვილამა და უ. ტოომა) იბრუნებს ლიდერის ყვითელ მაისურებს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ა. ბალუაშვილი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 89 წლის ასაკში გარდაიცვალა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, თბილისის საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ანდრია ალექსანდრეს ძე ბალუაშვილი. თავისი მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი მან ჩვენს ქვეყანაში საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის ექიმ სპეციალისტების მომზადებას მოანდომა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ა. ბალუაშვილი ევაკოჰოსპიტლებში სამკურნალო ფიზკულტურის დარგში იყო კონსულტანტად. შემდგომ წლებში მუშაობდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრაზე ჯერ დოცენტად, შემდეგ — კათედრის გამგედ. პენსიაზე გასვლის შემდეგ სიცოცხლის ბოლო დღემდე მუშაობდა საექიმო ფიზკულტურის რესპუბლიკურ დისპანსერში კონსულტანტად.

ა. ბალუაშვილის კალამს ეკუთვნის 100-მდე სამეცნიერო შრომა. მათი უმრავლესობა მიძღვნილია აღდგენითი მკურნალობის აქტუალური საკითხებისადმი.

ა. ბალუაშვილი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

ყველგან, სადაც კი უმუშავია ა. ბალუაშვილს, იგი ახსოვთ როგორც შრომისმოყვარე, პატიოსანი, ენერგიული, სამაგალითო ადამიანი და პედაგოგი. იგი ავტორიტეტით სარგებლობდა სხვადასხვა კოლექტივში და თავის უამრავ აღზრდილში. ასეთივე დარჩება იგი სამუდამოდ ჩვენს მეხსიერებაში.

საქართველოს სსრ საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის სამეცნიერო საექიმო საზოგადოება;
თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის საექიმო კონტროლის და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრა;
საექიმო ფიზკულტურის რესპუბლიკური დისპანსერი.

მწვრთნელების აზრით...

რაგბი

თბილისი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი. 16 ოქტომბერი.

თბილისის უნივერსიტეტი — პრაღის სტუდენტთა ნაკრები 17:15 (17:6).

თბილისი: შარაშენიძე, ნიჟარაძე, ტოგონიძე, ჭანკოტაძე, ხვადაგიანი (ჯაფარიძე), გორგაძე, (კობახიძე), ონიანი (ერიკაშვილი), სანებლიძე, გამცემლიძე, ფრიდონიშვილი, ბერაძე, შენგელია, მათითაშვილი, კეშელავა, აბაშიძე (ჭკუასელი).

პრაღა: იანზა, სკოტნიცა, სტაქი (კოვაჟეკი), ნიკბერგი, ონდრაჩეკი, გაშპარეკი, სადლიკი (ოხმანი), ერბენი, ოშკარდაალი, რუშაკი, მოცი, სანტუსი, რიბაში, პეტრანე (გაურა), რებეცი.

მსაჯი მ. ბენიაშვილი (თბილისი).

თბილისის უნივერსიტეტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის მოწვევით თბილისში ჩამოვიდა პრაღის სტუდენტ რეგბისტთა ნაკრები, რომლის მწვრთნელია წარსულში ცნობილი რეგბისტი და ნაკრების მოთამაშე ზდენეკ სლამა.

ქართველი სტუდენტებისთვის ამ დონის მატჩი სადებიუტო იყო. მიუხედავად ამისა, შეხვედრა მათი უპირატესობით დაიწყო: მე-15 წუთზე ანგარიში საჯარიმო დარტყმით აბაშიძემ გახსნა. მალე სტუმრების გამთამაშებელმა ოშკარდაალმა საჯარიმო დარტყმითვე წონასწორობა აღადგინა, მაგრამ შუა ტაიმში აბაშიძემ ოსტატურად ჩამოიტოვა რამდენიმე მეტოქე და ბურთი კარგ მდგომარეობაში მყოფ ნიჟარაძეს გადააწოდა. ეს შეტევა სტუმართა ჩათვლის მოედნის აღებით დამთავრდა.

შემდეგ ისევ ოშკარდაალმა კარგად დაარტყა საჯარიმო და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა — 6:7.

ქართველ რეგბისტთა შეტევები კი არ ცხრებოდა: მათითაშვილმა და ნიჟარაძემ მეტოქის ჩათვლის მოედანი აიღეს, ხოლო ბერაძემ ბოლო რეალიზაციაც გამოიყენა და ანგარიში გახდა 17:6.

შესვენებაზე ორივე გუნდში ცვლილებები მოხდა. თბილისელებმა მინდორზე შედარებით ახალბედები შემოიყვანეს. სტუმრებმა კი, პირიქით, გუნდი უფრო გაამაგრეს. ამან მატჩის შემდგომ მსვლელობაზე გავლენა იქონია. ოშკარდაალმა და ერბენმა თავიანთ გუნდს 9 ქულა მოუპოვეს, მაგრამ პრაღელები მაინც დამარცხდნენ.

მატჩის შემდეგ სტუმართა მწვრთნელმა ზ. სლამამ შეაქო ქართველი სპორტსმენები და განსაკუთრებით სანებლიძისა და აბაშიძის ოსტატობა აღნიშნა, უნივერსიტეტელთა მწვრთნელმა რ. სანებლიძემ კი სტუმართა შორის საუკეთესონი დაასახელა: ოშკარდაალი და ნიკბერგი.

დ. თაქთაქიშვილი.

* * *

სურათზე: შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.

ქართველი ჭაბუკების ვაჟკაცური ხასიათი

... კახაბერ ლომიძემ გადაცემა ჩაჭრა, მერე შურდულივით გაექანა მეტოქის კალათისკენ და თავის კოლექტივს კიდევ 2 ქულა შესძინა. ელექტროტაბლოზე აინთო ციფრები — 51:43. ასეთი შედეგით დამთავრდა თბილისის ნორჩი დინამოელების შეხვედრა ფრუნზელ თანატოლებთან.

ამ გამარჯვებამ საქართველოს კალათბურთელ ჭაბუკებს I ადგილი მოუტანა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს გათამაშებაში.

გამარჯვება, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, მაგრამ ნორჩი თბილისელების გზა ია-ვარდით როდი იყო მოფენილი: ხერსონში, სადაც ეს შეჯიბრება ჩატარდა, თავი მოიყარეს ძლიერმა კოლექტივებმა.

პირველი მატჩი თბილისელებს მოსკოველებთან ჰქონდათ. სამხრეთელი სპორტსმენების გამარჯვება დამაჯერებელი იყო — 63:45.

მეორე შეხვედრა. თბილისელთა მეტოქე ამჯერად ჩელიაბინსკელთა გუნდია. თამაში საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს. უპირატესობა ცვალებადია... ბოლო წამებზე ჩელიაბინსკელი კალათბურთელები აღწევენ გამარჯვებას — 49:47.

მესამე მატჩი — ხარკოვის გუნდთან. ხარკოველები თბილისელ ჭაბუკებს ღირსეულ მეტოქეობას ვერ უწევენ, აგებენ შეხვედრას — 40:71.

ამასობაში საქართველოს გუნდის მთავარი მეტოქეები — ფრუნზესა და ჩელიაბინსკის კოლექტივები ქულას ქულაზე აგროვებენ. მათს შორის შეხვედრას ფრუნზელები იგებენ — 63:55.

დასკვნითი ტურის წინ სიტუაცია ერთობ გაურკვეველია. თბილისელებს სჭირდებათ არა მარტო გამარჯვება, არამედ მოგება სულ ცოტა 5 ქულით. თუ ასე არ მოხდა, I ადგილი მათს მეტოქეებს დარჩებათ.

დაიწყო ეს მნიშვნელოვანი მატჩი. საქართველოს ნორჩმა დინამოელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა. ისინი დიდი აღმავლობით თამაშობენ — შესვენებისთვის წინ არიან 10 ქულით — 28:18. საბოლოო ანგარიში უკვე იცით...

ამოცანა, როგორც იტყვიან, შესრულებულია. თბილისის გუნდი ჩემპიონია. გამარჯვებულმა კოლექტივმა გამოავლინა მტკიცე ხასიათი, მონდომება და მაღალი ოსტატობა. ფრუნზეს კოლექტივთან მატჩში საქართველოს გუნდის ცენტრალურმა თავდამსხმელმა რ. გარუჩავამ, რომლის სიმაღლე 202 სანტიმეტრია, 21 ქულა მოუტანა კოლექტივს. ტექნიკური, მონდომებული თამაშით თბილისელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა კ. ჯორჯიკიამაც.

საზეიმო ვითარებაში თბილისელ კალათბურთელებს კახაბერ ლომიძეს, დავით მეფარიშვილს, გოგი ბაბუნაშვილს, თეიმურაზ აბუთიძეს, ზურაბ მაჭავარიანს, კონსტანტინე ჯორჯიკიას, როლანდ გარუჩავას, დიმიტრი ლაბაძეს, ლევან ანდრიასოვს, მამუკა ლომიძეს და მათს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლევან ინწკირველს გადაეცათ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს დიპლომები და ჟეტონები.

II ადგილი ფრუნზელებმა დაიკავეს, ხოლო III — ჩელიაბინსკელებმა. ზემოაღნიშნული გუნდების გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბელგოროდელთა კოლექტივიც.

გოგონათა ტურნირში ყველას აჯობეს კიევის კალათბურთელებმა.

ლ. ფლიგელმანი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
ხერსონი.

ყურადღების ცენტრში!

ტუნისი, 18 ოქტომბერი. „ავტოექსპორტის" ემბლემიანი მანქანები ავტორალ „ევროპის ტური-75"-ის ყურადღების ცენტრშია. პირველი ეტაპის შემდეგ საბჭოთა სპორტსმენები ეროვნულ ჩათვლაში რბოლის ლიდერები არიან. ისინი, აგრეთვე, პრეტენზიას აცხადებენ ოქროსა და ვერცხლის თასებზე. პირად ჩათვლაში I ადგილზე არიან ძმები კ. და ა. გირდაუსკასები. ჯერჯერობით II ადგილი უკავია ბ. კოზიორკევიჩისა და ა. კარამიშევის ეკიპაჟს, IV ადგილზე არიან ვ. სპრუქტი და ა. კალნაისი, ხოლო VI — ს. ბრუნძა და გ. ციმერმანი.

ერთ-ერთ მთიან მონაკვეთზე ავარიაში მოჰყვნენ საბჭოთა მრბოლელები ა. ზვინგევიცი და ა. რეიმანისი. სპორტსმენები არ დაშავებულან, ხოლო მექანიკოსთა ჩარევის შემდეგ მათმა „ლადამ" გზის გაგრძელება შეძლო, თუმცა შეყოვნებამ რიგელები 53-ე ადგილზე გადაისროლა.

64 ავტომანქანიდან, რომლებმაც სტარტი ჰანოვერში აიღეს, ტუნისამდე 60-მა მიაღწია. ოთხი ეკიპაჟი ტრასას ჩამოცილდა. ახლა მრბოლელები ჩრდილოეთ აფრიკის გზებზე გაივლიან. სპორტსმენებმა ნორმალურად დაძინება პირველად შეძლეს მხოლოდ ბორანზე, რომელმაც მონაწილეები პალერმოდან ტუნისში გადმოიყვანა.

გ. ტოლსტიკოვი.
(საკდესის სპეც. კორ.).

რევანში ან... განქორწინება!

როცა მექსიკელი მოკრივე ლუის ეჩევა ნოკაუტში აღმოჩნდა, მისმა მეუღლემ მყისვე განაცხადა:

— ან იგი რევანშს აიღებს, ან დაუყოვნებლივ მოუხდება ჩემთან განქორწინება!

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 68448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02961